ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №203/01-01, 30.10.2015წ.
დანართი №1

2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტის (იტალია) მიერ თსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს შორის რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი
კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა
კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით
სტუდენტები:
1. აკადემიური მოსწრება
2. მოტივაცია
3. ენის ცოდნის დონე

4. კომისიის შეფასება
ა) კანდიდატის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე	10 ქულა
ძალიან კარგი	9 ქულა
კარგი	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი	7 ქულა
საკმარისი	6 ქულა

არადამაკმაყოფილებელი	5 ქულა და ნაკლები

ბ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.